რას ითხოვს ჩვენგან მუსიკის გაკვეთილები (II ნაწილი)

ავტორი მაია გოგსაძე

როდესაც ბავშვს მუსიკალურ საკრავზე დაკვრის შესწავლა არ სურს, მთავარი მიზეზი, წესისამებრ, უფროსების მხრივ ყურადღების ნაკლებობაა.

იმისთვის, რომ ბავშვს თავიდანვე არ ჩამოუყალიბდეს ან შემდგომ გაუქრეს სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, მასწავლებლებმა და მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ასაკობრივი თავისებურებები და, ამასთან, ბავშვის შინაგან მდგომარეობაში გაერკვიონ.

სწავლის პროცესში ბავშვი რამდენიმე ასაკობრივ საფეხურს გაივლის:

* სკოლამდელი ასაკი (5-დან 7 წლამდე);

* უმცროსი სასკოლო ასაკი (7-დან 10 წლამდე);

* საშუალო სასკოლო ასაკი (11-დან 14 წლამდე).

სკოლამდელი ასაკი

როგორც ვიცით, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ძირითადი საქმიანობა თამაშია, ამიტომ განმავითარებელი მეცადინეობები სწორედ თამაშს უნდა ეფუძნებოდეს.

ამ შემთხვევაში ბავშვი სიამოვნებით იმეცადინებს, რადგან თამაშით სწავლა მისთვის საინტერესოა და დადებით ემოციებსაც აღუძრავს. თამაშის გარეშე თუ შევთავაზეთ მეცადინეობა, უარყოფითად განეწყობა, ვინაიდან:

ბავშვებს არ შეუძლიათ ყურადღების დიდხანს დაძაბვა.

მიუხედავად ცნობისმოყვარეობისა და სიახლეების ათვისების კარგი უნარისა, კონცენტრირების უნარის ნაკლებობის გამო ახსნილი მალე ავიწყდებათ.

ბავშვისთვის, რომელმაც უკვე მრავალი სახის თამაში იცის, საინტერესო იქნება მუსიკის მასწავლებლის როლი, როდესაც თოჯინას აჩვენებს, როგორ დააჭიროს თითი კლავიშს, როგორ დაუკრას და როგორ იმღეროს. მიეცით დღიურიც, რომელშიც თოჯინას ნიშნებს დაუწერს. როლური თამაშის დროს ბავშვი თავს დიდ ადამიანად გრძნობს და თოჯინას ისე ეპყრობა, როგორც მასწავლებელი – მოსწავლეს. ეს თამაში მუსიკის გაკვეთილებს გაახალისებს.

უმცროსი სასკოლო ასაკი

როგორც ვიცით, ადამიანის განვითარების პროცესში ერთმანეთს ენაცვლება სტაბილური და კრიზისული პერიოდები. ერთ-ერთი კრიზისული პერიოდი 7 წლის ასაკს ემთხვევა, სწორედ იმ დროს, როდესაც ბავშვი სწავლას იწყებს. კრიზისი შესაძლოა გამოიხატოს მკვეთრი ცვლილების – თამაშის ნაცვლად მეცადინეობის – მიუღებლობით.

ბავშვმა, რომელიც მუსიკის სწავლის დაწყებამდე დარწმუნებული იყო საგნის სიმარტივეში, შესაძლოა ძლიერი იმედგაცრუება განიცადოს. გასართობად განწყობილმა, თავი შებოჭილად იგრძნოს.

საშინაო დავალებების შესრულებისას სირთულეები და დაბალი შეფასებები ბავშვს ყოველთვის უარყოფითად განაწყობს შესასწავლი საგნის მიმართ.

როდესაც ბავშვი აცხადებს, რომ ფორტეპიანოზე დაკვრა არ სურს, ნუ აიძულებთ. ნაცვლად ამისა, მიზეზის დადგენა სცადეთ და სასურველი შედეგის მისაღწევად გამოსავალი ეძებეთ.

ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა დავალების მასშტაბურობა იყოს. ამ შემთხვევაში დავალება უნდა დანაწევრდეს და ნაწილ-ნაწილ, შესვენებებით მომზადდეს: დღეს მხოლოდ მარჯვენა ხელის პარტიას შეისწავლოს, მეორე დღეს – მარცხენა ხელისა... ასე შესაძლოა, მეცადინეობა ბავშვის საყვარელ საქმიანობადაც კი იქცეს. განწყობაც გამოუკეთდება და მშვიდად გააგრძელებს სწავლას.

ამ რთულ პერიოდში მშობლების ამოცანა არა ძალდატანება, არამედ დახმარებაა. ვეცადოთ, ვასწავლოთ ბავშვს სირთულეების გადალახვა და გავიხსენოთ, რომ ჩვენც იმის კეთება გვიყვარს, რაც კარგად გამოგვდის.

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო სწრაფად ელის დადებით შედეგს. დავეხმაროთ, რომ თავისი შრომის შედეგი დაინახოს და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ უმცროსი ასაკის მოსწავლისთვის მაღალი შეფასება ერთ-ერთი უძლიერესი მოტივაციაა.

სკოლის შემდეგ მშობელმა ბავშვის განტვირთვასა და გახალისებაზე უნდა იზრუნოს. შეცდომაა, როდესაც სკოლის შემდეგ შინისკენ მივიჩქარით და გადაღლილ ბავშვს საშინაო დავალებების შესასრულებლად ვსვამთ. შეუსვენებლად მეცადინეობა ბავშვს სწავლას ვერ შეაყვარებს. გარდა ამისა, პატარა მოსწავლეს დღეში 2-3 საინტერესო გასართობი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ საშინაო დავალებები უფრო ხალისიანად შეასრულოს.

ბავშვი ენერგია და მოძრაობაა, ამიტომ ქვეცნობიერად ის მუდამ მოზღვავებული ენერგიის დახარჯვის საშუალებას ეძებს: გაკვეთილებს შორის, შესვენებებზე, დარბის, ხტუნავს და ა.შ. მუსიკაში მეცადინეობა, განსაკუთრებით – ფორტეპიანოზე დაკვრა, კი საკმაოდ სტატიკური საქმიანობაა და ბავშვს ენერგიის გაცემის საშუალებას არ აძლევს. სასარგებლო იქნება, თუ ბავშვი მოძრაობის მოთხოვნილებას სპორტით დაიკმაყოფილებს.

საშუალო სასკოლო ასაკი

მუსიკალური ნაწარმოებები თანდათან რთულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლების პროცესიც უფრო და უფრო დატვირთული ხდება.

არსებობს ისეთი სუნთქვის შემკვრელი თავშესაქცევი, როგორიცაა კომპიუტერული თამაში ამაღელვებელი სიუჟეტით, ტელევიზია, ინტერნეტი – აქ ხომ, პრაქტიკულად, „ცხოვრებაა“ შესაძლებელი.

თუ ამ დროისთვის მოსწავლის აზროვნებაში ჩანერგილი არ არის სასარგებლო საქმიანობა, არსებობს საფრთხე, ერთადერთი „სერიოზული გატაცება“ კომპიუტერი გახდეს.

ამ პერიოდში საშუალო სასკოლო ასაკის მოზარდს მეგობრების წრე უკვე შერჩეული ჰყავს და შეუძლია მათი ცხოვრების წესის შეფასებაც. ის გარემოცვის გაანალიზებას იწყებს და როცა ხედავს, რომ მისი მეგობრები სკოლის შემდეგ მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებენ, კითხვა უჩნდება: ასეთივე ცხოვრებაში თავად მას რა უშლის ხელს? რატომ უნდა იმეცადინოს მუსიკა, რას მატებს? პიროვნულად ჩამოუყალიბებელი მოზარდი, რომელსაც საკუთარი თავისა და სხვათა მოქმედებების შეფასება უჭირს, შესაძლოა გზასაცდენილ ადამიანებს დაემსგავსოს. მაგრამ თუ მისი თანატოლებიც სწავლობენ მუსიკას, დამოკიდებულება თავადაც შეეცვლება და სწავლების პროცესიც უფრო მშვიდად წარიმართება.

11-12 წლის მოზარდი ჯერ კიდევ ფიზიკური და გონებრივი განვითარების პროცესშია, თუმცა უფრო გააზრებულად იწყებს საკუთარი წარმატების სხვისასთან შედარებას. თუ საკუთარი უპირატესობა დაინახა, ეს დადებით ემოციებს აღუძრავს და სწავლის სტიმულსაც მისცემს.